სარგიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 4 ნოემბერი 2005 №254 (2577) ფასი 50 თეთრი

ჩემი კონკურენტი ჩემი მასწავლებელია

ინტერვიუ ლადო ნადირაშვილთან

3



ჩეხთა პაველიანი კლეიოფი

ნედვედი ნაკრებში დაბრუნდა

5

საჭიდაო სიახლე

ფილამ ოქროს ლიგა ახსენა

13

სრულიად უეფორმალური ტური

ბოლტონი — ზენიტი 1:0. კევინ დევისმა (№14) და კომპანიამ ლენინგრადს ბლოკადა მოუწყო

ხუთეულში დაიწყო, ხუთიანით დაამთავრა



ნბეური სეზონი დაიწყო და ზაზა ფაჩულიამ პირველივე ბრძოლაში თავი გამოიჩინა. „ატლანტა ჰოქსის“ მაისურით თავისი დებიუტი „გოლდენ სტეიტთან“ შეხვედრში დამწყებ ხუთეულში გამოსვლით აღნიშნა. მთავარი ის იყო, რომ 13 ქულას მოუყარა თავი და ზედ 12 მოხსნაც დაურთო, ეს კი ორივე გუნდიდან საუკეთესო მაჩვენებელი აღმოჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP სოფიიდან

ლევსკი — დინამო 1:0. მასპინძელმა ელინ ტოპუზაკოვმა (მარცხნივ) რადუ სტეფანს დაასწრო

„ზესტაფონის“ 25 წლის თავდამსხმელი გია იმედაძე თავის დროზე საქართველოს ნაკრების კანდიდატი და ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი იყო. ჰოლანდიელმა მწვრთნელმა იოჰან ბოსკამპმა მას „ტორპედოში“ თამაშისას დაადგა თვალი და ბაზრობა-ნაკრებო შეკრებაზე უხმო. მართალია, გიას ეროვნულ გუნდში არ უთამაშია, მაგრამ ქუთაისის „ტორპედოს“ ძირითადში ადგილი დაიბევა და მალევე ვლადიკავკაზის „ალანიას“ მიაშურა

იმედაძე იმედზეა

ძველმა ბოსკამპელმა ბევრი იარა...

ოსეთში გია იმედაძეს საქმეები ვერ აეწყო და თურქულ „ქოჯაელში“ წავიდა, სადაც მასთან ერთად რამდენიმე ქართველიც იყო. იმედაძეს არც თურქეთში გაუმართლა, იქაურობა დატოვა და „თბილისში“ ჩამოვიდა, საიდანაც სიმფეროპოლის „ტავრიაში“ აღმოჩნდა. „ზესტაფონშიც“ სწორედ „ტავრიადან“ გადავიდა და უცხოური ვოიაჟებისას დაკარგულის აღდგენას ისევ საქართველოს ჩემპიონატში ცდილობს.

წლეულს ამ თავდამსხმელს სულ ორი გოლი აქვს გატანილი, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ „ზესტაფონში“ ახალი მწვრთნელის დანიშვნის შემდეგ იმედაძე ძირითად შემადგენლობას დაშორდა და რამდენიმე მატჩი სათადარიგოებში გაატარა. არადა...

— ვფიქრობ, ახლაც ნორმალურ ფორმაში ვარ, თუმცა, როცა ძირითადში რეგულარულად ვთამაშობდი, უკეთესად გამოვიყურებოდი. „დილასთან“ ძირითადს დავუბრუნდი და გოლიც გავიტანე, მაგრამ ეს ჩემი საუკეთესო თამაში არ იყო, მეტი შემიძლია და თუ სათამაშო პრაქტიკა მექნება, ამას დავამტკიცებ კიდეც — გვითხრა გია იმედაძემ და საუბარი „ზესტაფონის“ თემით განვაგრძეთ. ეს გუნდი, მოგეხსენებათ, სეზონის დაწყებამდე ჩემპიონობის ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ ახლა, 11 ტურის შემდეგ მეშვიდეა.

— ჩავარდნა ყველა გუნდს აქვს, მთელ ჩემპიონატს ერთ დონეზე ვერ ითამაშებ. ან დასაწყისში გაგიჭირდება, ან შუაში, ანაც ფინიშზე. იმედი მაქვს, „ზესტაფონისთვის“ უიღბლო პერიოდი უკვე დასრულდა და მომავალში უკეთ ვითამაშებთ, მით უმეტეს, ბოლო მატჩი მოვიგეთ...

გია იმედაძემ „დილასთან“ შეუცვლელად კი ითამაშა, მაგრამ გუნდიდან თემურ მახარაძის წასვლის შემდეგ სამი მატჩი სათადარიგოებში რატომ იყო? იმედაძე გვპასუხობს:

— მწვრთნელის ცვლილებას ყოველთვის მოჰყვება ხოლმე ტაქტიკური გადანაცვლებები. თემურ მახარაძეს თავისებურად ესმის ფეხბურთი, კობა ჟორჟიკაშვილს სხვანაირი ხედვა აქვს. ბოლო დროს, ალბათ, ამიტომაც ვერ ვხვდებოდი ძირითადში. „დილასთან“ გამოკვეთილი ფორვარდის პოზიციაზე არ მითამაშია, ორი თავდამსხმელის უკან ვიყავი. თემურ მახარაძე კი მარცხნიდან თამაშს მავალებდა.

— თავად სად უფრო გირჩევნია?

— თავდამსხმელი ვარ და, რა თქმა უნდა, ვფიქრობ, რომ ცენტრალურ თავდამსხმელად უფრო ეფექტური ვიქნები. მგონი, წინ თამაში უკეთ გამომდის, მაგრამ გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, ვცდილობ, მწვრთნელის ყველა დავალება ზუსტად შევასრულო.

გია იმედაძეს სიტყვა იმ დაკარგულ პერიოდზეც ჩამოვუგდეთ, რომელიც მან უცხოეთში გაატარა — რუსეთში, თურქეთში, უკრაინაში. ვერც ერთ ამ ქვეყანაში გიამ ფეხი ვერ მოიკიდა და თავადაც დაგვეთანხმა, რომ 19 წლის ფეხბურთელისთვის საქართველოს ჩემპიონატიდან წასვლა არ ღირდა...

— „ტორპედოდან“ წასვლის გადაწყვეტილება ნაჩქარევად მივიღე. თანაც ყველა ის გუნდი, სადაც ვიყავი, ლიგაში დარჩენისთვის იბრძოდა და სტაბილურად თამაშის საშუალება არ მქონდა. უკრაინაში კი მთლად უფეხბურთოდ დავრჩი. ტრავმის მერე ვირუსი შემეყარა და ორი თვე ბურთს არ გავკარებივარ. ისიცაა, რომ უცხოურ გუნდებში ადაპტაციამაც თავისი დრო წაიღო.

— უცხოეთში თამაშზე ახლა აღარ ფიქრობ?

— დღესდღეობით „ზესტაფონის“ ფეხბურთელი ვარ და აქ ვიქნები. ვხედავ, რომ „ზესტაფონის“ ხელმძღვანელები ფეხბურთით ცხოვრობენ, მათ ფეხბურთი უყვართ, კლუბს ყურადღება არ აკლია და უცხოეთში რატომ უნდა წავიდე?! არა, ამ სეზონის ბოლომდე ნაღდად „ზესტაფონში“ ვიქნები. თანაც კლუბთან კიდევ წელიწადნახევრიანი საკონტრაქტო ვადა მაკავშირებს.

და კიდევ, საქართველოს ნაკრები, რომელიც გია იმედაძისთვის უცხო არ არის, თუმც მისი მაისურით ჯერ არ უთამაშია.

— ნაკრები ჩემი და ყველა ფეხბურთელის ოცნებაა. ბედნიერი ვიყავი, როცა იოჰან ბოსკამპმა შეკრებაზე გამომიძახა, მაგრამ ტრავმის გამო ვერ ვითამაშე. თუმცა ჯერ არაფერია დამთავრებული. ვცდები, ჩემი თამაშით დავამტკიცო, რომ ნაკრების დონეს ვაკმაყოფილებ და თუ ეს შეძელი, დაწყებული ვარ, გამომიძახებენ კიდეც. ამჟამად კი თავადაც ვიცი, ნაკრებამდე ბევრი შრომა დამჭირდება. წინ ზამთრის მოსამზადებელი პერიოდია, მერე ზაფხულის. ამასობაში მოვუმატებ, კიდევ უფრო ძოვინდომებ და იმედია, ნაკრებში თამაშსაც დავიმსახურებ.

ძოგა ინასარიძე

ბაზრი კვირაძის ფოტო

გია იმედაძეს (მარჯვნივ) ქართული გოლები მოენატრა

UEFA CUP უეფას თასი 2005-2006

ჯგუფური ეტაპი. II ტური. ნოხელ

A ჯგუფი

ჰამბურგი 2:0 ვიკინგი
სლავია 4:2 ცსკა

ჰამბურგი	2	2	0	0	3:0	6
სლავია	1	1	0	0	4:2	3
ვიკინგი	2	1	0	1	1:2	3
მონაკო	1	0	0	1	0:1	0
ცსკა	2	0	0	2	2:5	0

B ჯგუფი

პალერმო 0:0 ლოკომოტივი
ბრონდბიუ 2:0 მაკაბი

პალერმო	2	1	1	0	2:1	4
ბრონდბიუ	1	1	0	0	2:0	3
ესპანიოლი	1	1	0	0	1:0	3
ლოკომოტივი	2	0	1	1	0:1	1
მაკაბი	1	0	0	1	1:2	0

C ჯგუფი

სამპდორია 0:0 სტიაუა
ლანსი 5:0 ჰალმშტადი

სტიაუა	2	1	1	0	4:0	4
ლანსი	2	1	0	1	5:4	3
ჰერტა	1	1	0	0	1:0	3
სამპდორია	1	0	1	0	0:0	1
ჰალმშტადი	2	0	0	2	0:6	0

D ჯგუფი

ლიტექსი 2:1 გრასჰოპერი
მიდლსბრო 3:0 დნიპრო

მიდლსბრო	2	2	0	0	4:0	6
ალკმაარი	1	1	0	0	2:1	3
ლიტექსი	1	1	0	0	2:1	3
გრასჰოპერი	2	0	0	2	1:3	0
დნიპრო	2	0	0	2	1:5	0

E ჯგუფი

სტრასბური 1:0 ტრომსიო
ცრვენა ზვეზდა 1:2 ბაზელი

სტრასბურგი	2	2	0	0	4:0	6
რომა	1	1	0	0	2:1	3
ბაზელი	2	1	0	1	2:3	3
ცრვენა ზვეზდა	1	0	0	1	1:2	0
ტრომსიო	2	0	0	2	1:3	0

F ჯგუფი

ჰერენვენი 0:0 ცსკა
ლევსკი 1:0 დინამო

მარსელი	1	1	0	0	2:1	3
ლევსკი	1	1	0	0	1:0	3
ჰერენვენი	2	0	2	0	0:0	2
ცსკა	2	0	1	1	1:2	1
დინამო	2	0	1	1	0:1	1

G ჯგუფი

შტუტგარტი 0:2 შახტარი
რაპიდი 2:0 რენი

შახტარი	2	2	0	0	3:0	6
რაპიდი	1	1	0	0	2:0	3
შტუტგარტი	2	1	0	1	2:2	3
პაოკ	1	0	0	1	0:1	0
რენი	2	0	0	2	0:4	0

H ჯგუფი

ბოლტონი 1:0 ზენიტი
სევილია 3:0 ბეშიქთაში

ბოლტონი	2	1	1	0	2:1	4
სევილია	1	1	0	0	3:0	3
ზენიტი	2	1	0	1	2:2	3
ბეშიქთაში	2	0	1	1	1:4	1
გიმარაეში	1	0	0	1	1:2	0

საქართველოს ჩემპიონატი 17 ტური

საქართველოს პირველობის ლიგა — პირველი ნაწილი

საგარეჯო 1:0 მესხეთი

დღეს

გაგრა — ამერი 2

ვიბ ჯორჯია 2 — ჩიხურა

თბილისი 2 — მეშახტე

დინამო 2 — ზესტაფონი 2

მერანი — ლოკომოტივი 2

რუსთავი — მაღაროელი

გურია — მეშაქრე

ზუგდიდი — ლიახვი

ჩიხურა	12	9	1	2	39:[illegible]	28
დინამო 2	12	8	2	2	2[illegible]:5	26
მეშაქრე	12	8	2	2	2[illegible]:7	26
მერანი	12	7	3	2	16:8	24
რუსთავი	12	7	2	3	24:14	23
ამერი 2	12	7	1	4	19:11	22
გურია	12	6	2	4	23:15	20
საგარეჯო	13	6	2	5	14:11	20
მესხეთი	13	5	3	5	17:13	18
მეშახტე	12	4	4	4	12:9	16
გაგრა	11	4	4	3	14:12	16
ზუგდიდი	12	4	3	5	5:9	15
ლოკომოტივი 2	12	4	1	7	10:22	13
ვიტ ჯორჯია 2	11	3	3	5	8:10	12
თბილისი 2	11	2	2	7	10:22	8
მაღაროელი	12	2	1	9	10:35	7
ლიახვი	12	2	0	10	10:31	6
ზესტაფონი 2	9	0	0	9	7:24	0

ბადრი კეთილაძის ფოტო

უკვე რვა თამაშია, თბილისის „ამერის“ კარს 21 წლის ლადო ნადირაშვილი იცავს და საკმაოდ რიგიანადაც — უმაღლესი ლიგის დებიუტანტის კვალობაზე რვა მატჩში გაშვებული ოთხი გოლი, დაგვეთანხმებით, არცთუ ცუდი შედეგია. ის კი არა, „ვიტ ჯორჯიასთან“ 1:2 მარცხის შემდეგ ნადირაშვილი უკვე 299 წუთია, კარს მშრალად ინახავს.

— გუნდში სერიოზული კონკურენციაა, წამიერი მოდუნება თუ უყურადღებობა შეიძლება, ძვირად დამიჯდეს. ასე რომ, ადგილს ძალიან უნდა გავუფრთხილდე — გვითხრა ლადომ, რომელსაც გუშინ ვესაუბრეთ...

ჩემი კონკურენტი ჩემი მასწავლებელია

— უმაღლეს ლიგაში შენი დებიუტი „დინამოსთან“ შედგა. „დინამო“ ქვეყნის 12-გზის ჩემპიონია და ასეთ სახელიან მეტოქესთან დებიუტისთვის ფსიქოლოგიურად როგორ განეწყვე?

— რა თქმა უნდა, ვღელავდი, მაგრამ ეს ჩემი შანსი იყო. თუმცა, მინდორზე რომ გადიხარ, იმაზე აღარ ფიქრობ, თუ ვის ეთამაშები. რადგან მწვრთნელი გენდო, უნდა გაამართლო. რამდენად გამომდის, ეს სხვა საქმეა.

— „ვიტ ჯორჯიასთან“ თამაშზე მინდა, გკითხო: იმ მატჩში დაშვებულმა ორმა შეცდომამ თამაშის ბედი გადაწყვიტა. ახალბედა ხარ და ბევრი შენს ადგილზე ფსიქოლოგიურად დაითრგუნებოდა...

— იმ მატჩის მერე ბევრი ვფიქრე, ცხადია, პასუხისმგებლობასაც ვგრძნობდი, „ამერმა“ ხომ ჩემი შეცდომებით წაგო. მადლობა მწვრთნელს, თანგუნდელებს, მეგობრებს, მშობლებს — ისინი ყველანაირად გვერდში დამდგნენ, ასეთი რამ ვის არ მოსვლია.

— მანამდე კი გორში, „დილასთან“ დისკვალიფიცირებული გიორგი დავითნიძის არყოფნაში „ამერს“ უკაპიტნე კიდეც გუნდში შენზე გამოცდილი ფეხბურთელები საკმაოდ არიან და როგორ ფიქრობ, მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ მაინცდამაინც შენზე რატომ შეაჩერა არჩევანი?

— ჯერ გამიკვირდა, მაგრამ მერე, როცა გავაცნობიერე, ძალიან გამიხარდა. პასუხისმგებლობაც ერთიორად მომემატა. თამაშის დაწყების წინ გიორგი ჩიხრაძემ მითხრა, კაპიტანი შენ იქნებიო. დღემდე არ ვიცი, რატომ, ეს მას ჰკითხეთ. ალბათ, რაღაცით დავიმსახურე.

— ზედიზედ სამი მატჩია, გოლი არ გაგიშვია და შენი რეკორდი ჯერ 299 წუთს ითვლის. ჩვენში რეკორდსმენი დინამოელი ზვიად სტურუაა 981 წუთით. მოხსნაზე არ ფიქრობ?

— არ დავმალავ, გუნებაში ეგეც გამივლია, მაგრამ იქამდე ხომ საკმაოდ შორია. ჯობს, ჯერ „ამერის“ წარმატებაზე ვიფიქრო და მერე, თუ იქამდე მივაღწიე, ვნახოთ...

— შენს კონკურენტებზე რას იტყვი? სეზონის დაწყების წინ ფაქტობრივად მესამე მეკარედ ითვლებოდი, ახლა კი პირველი ხარ...

— საკმაოდ ძლიერი კონკურენტები მყავს რეზო ნაჭყეპიასა და გიორგი ნიკურაძის სახით. მაგრამ არც იმას დავმალავ, მესამე მეკარედ თავი არასდროს ჩამითვლია. შეიძლება განაცხადში ვწერივარ მესამე, მაგრამ მე მუდამ პირველობისთვის ვიბრძოდი და ვიბრძოლებ. ახლა პირველი ვარ? ესე იგი, მოდუნების უფლება არ მაქვს, ჯანსაღი კონკურენცია ჩემთვისაც კარგია და გუნდისთვისაც.

— ჯერ 21 წლის ხარ, მაგრამ ასაკის კვალობაზე მოედანზე საკმაოდ თავდაჯერებული და მშვიდი ჩანხარ...

— ალბათ, ბუნებით ვარ ასეთი და იმიტომ. მაქსიმალურად ვცდილობ, თავი ხელში ავიყვანო და თამაშისას ემოციებს ზედმეტად არ ავყვე. ვფიქრობ, როცა მშვიდად ვარ, თამაშიც უკეთ გამომდის.

— მაინცდამაინც მეკარეობა რატომ გადაწყვიტე, ბავშვობაში ვინმე იყო შენი კერპი თუ...

— არა, კერპი არ მყოლია. უბრალოდ, ბავშვობაში ერთ-ერთ თამაშზე ჩვენი მეკარე ვერ მოვიდა და მწვრთნელმა საშა ვაშაკიძემ კარში მე ჩამაყენა. მას მერე მეკარე ვარ. ისე, გავამხელ და, ცოტა სირბილი კი მეზარებოდა.

— რეჟიმს მუდმივად იცავ?

— შემიძლია ვთქვა, რომ ასეა. რა თქმა უნდა, განტვირთვაც აუცილებელია, ეს თამაშის შემდეგ. მერე კი სრულად კონცენტრირებული ვარ ვარჯიშებისთვის.

— მესამე სეზონია, „ამერში“ ხარ. ამ ხნის მანძილზე რა შეგძინა კლუბმა?

— ძალიან ბევრი. პირველ რიგში ის, რომ აქ ყველაფერი გვაქვს საიმისოდ, რათა გაიზარდო, პროფესიონალად ჩამოყალიბდე. ინფრასტრუქტურა, პირობები, კონტინგენტი, მწვრთნელები — ეს ყველაფერი ჩინებულია. ჩვენი მთავარი საზრუნავი მხოლოდ ისაა, კარგი ფეხბურთი ვითამაშოთ.

— „ამერში“ უფროსები და უმცროსები, გამოცდილები და ახალგაზრდები მხარდამხარ თამაშობთ...

— ასეა და ყველა ერთმანეთის მეგობრებიც ვართ, ერთმანეთს დიდ პატივს ვცემთ. ყველაზე მეტ დროს კი თანატოლებთან, ზურაბ გვაძაბიასთან, ჯაბა ბერიანიძესთან და გიორგი ელბაქიძესთან ვატარებ. ცხადია, უფროსებთანაც თბილი დამოკიდებულება მაქვს, რეზო ნაჭყეპიაზე კი რა ვთქვა, მას ხუმრობით მასწავლებელსაც ვეძახი, ძალიან მეხმარება.

— დღესდღეობით ვინ მიგაჩნია საუკეთესო მეკარედ ჩვენში და უცხოეთში?

— საქართველოში გიორგი ლომაია და ზვიად სტურუა, უცხოეთში — ბუფონი, დიდა და ჩეხი.

— შენი საყვარელი კლუბი და ნაკრები...

— ცხადია, „ამერი“ და საქართველოს ეროვნული გუნდი. ისე კი, ბავშვობიდან „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ინგლისის ნაკრების ფანი ვარ.

— შენი, როგორც მეკარის ღირსებად და ნაკლად რას მიიჩნევ. რაზე გმართებს უფრო მეტი მუშაობა?

— ღირსებებზე ლაპარაკი ჯერ ძალიან ადრეა, რვა თამაში იმას არ ნიშნავს, რომ უკვე ჩამოყალიბებული მეკარე ვარ. სამუშაო, ცხადია, ბევრია და ვარჯიშებზე თავდაუზოგავად უნდა ვიშრომო. ჩემი ნაკლი კი ვიცი, მაგრამ მეტოქეების გასაგონად ამის საჯაროდ თქმას არ ვაპირებ.

— თამაშის წინ მეკარეებს ნაცადი მოძრაობა-რიტუალები სჩვევიათ...

— მე ისეთს არაფერს ვაკეთებ, მხოლოდ ძელებს და ხარიხას ვურტყამ ხელს. თილისმებისა და მისთანების კი არ მჯერა.

— შენი ყველაზე დიდი გულშემატკივარი...

— ოჯახი, განსაკუთრებით კი მამაჩემი, მაგრამ ვიდრე ბაბუაჩემი ცოცხალი იყო, ყველაზე მეტად ის ნერვიულობდა და მქომაგობდა.

— და ბოლოს: „ამერთან“ ერთად რას გინდა მიაღწიო?

— წლეულს საპრიზო სამეულში უნდა მოვხვდეთ და თასი უნდა მოვიგოთ. ვფიქრობ, ამის რეალური ძალა შეგვწევს. იღბალმაც თუ შეგვიწყო ხელი, მთლად უკეთესი.

გიორგი მაზაკიძე

ხმები ოსეთიდან: ალანია-იმერეთი ქართველებს უფულოდ ათავისუფლებენ

ბადრი ფოლადაშვილის ფოტო

გიორგი შაშიაშვილი

რუსული პრემიერლიგის დასასრულს ორი ტური უკლია და ჯანდიკავკაზის „ალანია“, სადაც შვიდი ქართველია — გიორგი დემეტრაძე ვიტალი დარასელია, ლევან გაბისონია დავით კვირკველია, ჯაბა კანკავა ლადო ბურდული და გიორგი შაშიაშვილი — ალბათ, პრემიერლიგიდან გაეცლება — თექვსმეტ გუნდში „ალანია“ მე-15 ადგილზეა და მე-14-ზე მდგომ „რისტოვს“ ხუთი ქულით ჩამორჩება. მაგრამ საქმეს ისეთი ბრალი უქნის, ქართველები „ალანიას“ ბრალდებულ ადგილზე არ უნდა ჩაჭყლეტენ.

— ოფიციალურად არაფის უთქვამს, მაგრამ გავიგეთ, რომ პრემიერლიგიდან გავარდნის შემდეგ გუნდიდან თითქმის ყველა ფეხბურთელს გაუშვებენ, მითუმეტეს ლეგიონერებს, რადგან ლეგიონერია რიოლეტიანი რუსეთში ლიმიტირებულია. თუმცა „ალანიადან“ ალბათ სხვებსაც დაითხოვენ. გავიგეთ, რომ ჯანდიკავკაზელები ახალი გუნდის ჯაჭოებას აპირებენ მომავალი სეზონისთვის და იმდენი ფულის დახარჯვა აღარ უნდათ, რაც ამ სეზონისთვის დახარჯეს. ითქვა, „ალანია“ ყველა დათხოვნილ ფეხბურთელს გადაიხდევინებს ფურცელსაც მისცემს და სხვა გუნდში გადასასვლელად მოითხოვებს ყველანაირად ხელს შეუწყობსო. რაც შეეხება დავალიანებას, კლუბმა ყველა ვალი გაუსტუმრა — გვითხრა გიორგი შაშიაშვილმა

მოკლედ, „ალანიას“ ქართველ მეფდეულს გასად ალბათ სხვა გუნდებში ვიხილავთ, მითუმეტეს, თუ ისინი მათ გათავისუფლების ფურცელს უსასყიდლოდ ჩამოურიგებენ.

დავით თავართქილაძე

თქვენი ინტერვიუ

ნოდარ ახალკაცთან

რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი იქნება.

კითხვები 8 ნოემბრამდე მოგვაწოდეთ და პრეზიდენტთან თქვენს ინტერვიუს არაუგვიანეს 11 ნოემბრამდე გამოვაქვეყნებთ. ერთი სიტყვით, იაქტიურეთ.



მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

მიულერმა სიბერე დაიჩივლა



ლეგენადრულმა გერმანელმა მეგოლემ გერდ მიულერმა „ზიუდდოიჩე ცაიტუნგთან“ გუშინდელ ინტერვიუში თქვა, რომ თანამედროვე ფეხბურთში გაცილებით მეტს გაიტანდა, ვიდრე გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ჯეელობისას მოუხერხებია.

ალემანთა მითიური კაცი ახლა 60 წლისაა, თავის დროზე კი 1970 წლის მექსიკის და 1974-ის გერმანიის მუნდიალებზე ერთად 14 ბურთი შეაგდო, რითაც მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში საუკეთესო მეგოლის ტიტული დაიმსახურა. მიულერმა მაშინდელი გფრ-ს ნაკრების მაისურით 62 ოფიციალური მატჩი ჩაატარა და 68-ჯერ აიღო მეტოქის კარი. ამას საევროთასო ჯახებში გატანილი 66 და შინაური ბუნდესლიგის 365 გოლიც რომ დავუმატოთ, გერდის თამაში ბრწყინვალე ზღაპრად მოგეჩვენებათ...

ერთი სიტყვით, ოცდაათი წლის წინ მოწინააღმდეგის მეკარეთა გამამწარებელმა ლეგენდამ დიდის ამბით თქვა, სადღეისოდ უფრო მეტს გავიტანდიო.

„დარწმუნებული ვარ, ახლა რომ ვთამაშობდე, უბრალოდ გოლებს ფანტასტიკური სისწრაფით შევყრიდი. თუ თავდამსხმელს გატანის ნიჭი აქვს და მეტოქის კარი საკუთარში არ ერევა, მეგოლეობისთვის საუკეთესო დღევანდელი პირობები აუცილებლად უნდა გამოიყენოს“ — აღნიშნა მიუნხენის „ბაიერნის“ ყოფილმა ფორვარდმა.

გერდ მიულერის აზრით, ფორვარდისთვის მოედანზე პარპაში მაშინ იყო ძნელი, როცა ლიბეროსა და პერსონალური მცველის ჯაჯგურს აწყდებოდნენ, თორემ ახლა, როცა ოთხივე მცველი „ხაზზე“ ბურთაობს, ჭეშმარიტი ფორვარდისთვის გოლის გატან იოლი საქმეა.

„ამ ოთხიდან ერთს აუცილებლად ჩამოეყვინთება ხოლმე და მეც ასეთ შანსს ხელიდან არ გავუშვებდი. რა ცუდია, რომ 32 წლის მაინც არ ვარ“ — სინანულით უთხრა გერმანელმა „ზიუდდოიჩე ცაიტუნგს“.

ლადო ხომერიკი



მოჰამედ სისოკო

ნენად იესტროვიჩი

შეაგინა

იესტროვიჩი შავს უარობს

„ლივერპულის“ მალელი ფეხბურთელი მოჰამედ სისოკო უეფასგან ნენად იესტროვიჩის დასჯას ითხოვს. სისოკოს თქმით, „ანდერლეხტის“ სერბმა ლეგიონერმა მას შეაგინა და შავი უწოდა. უეფა ამ ამბავს იძიებს, ბელგიურმა კლუბმა კი თავის მოთამაშეს ფულადი ჯარიმა უკვე გამოუწერა.

„ანდერლეხტი“ — „ლივერპულის“ მატჩის 75-ე წუთზე, დანიელმა მსაჯმა კიმ მილტონ ნილსენმა იესტროვიჩი გააძევა, რომელიც მოედანზე ხუთი წუთის შესული იყო. მსაჯმა ნამატჩევს ოქმში გაძევების მიზეზად სერბის რასისტული გამოხდომა ჩაწერა.

მოჰამედ სისოკო ადასტურებს, რომ იესტროვიჩისგან სამი სიტყვა კარგად გაიგონა: „შავო, წადი შენი...“

მალელმა თქვა: „არაფერი მეშლება, კარგად ვიცი, რაც გავიგონე. რასისტული შეურაცხყოფისთვის უეფას ნებისმიერი ფეხბურთელის მკაცრად დასჯა მართებს.. არ მესმის, რას მერჩოდა იესტროვიჩი. უეფაში ჩვენება უკვე მივეცი. „ვალენსიაში“ თამაშისასაც უწოდებიათ ჩემთვის მეტოქის ფანებს შავი, მაგრამ ეს პირველი შემთხვევაა, როცა ფეხბურთელმა შეურაცხმყო“.

ნენად იესტროვიჩი კი გინებას არ უარჰყოფს, მაგრამ ამტკიცებს, შავი არ მიწოდებიაო. საინტერესო ისაა, რომ ბელგიელებს კიმ მილტონ ნილსენთან ძველი ანგარიში აქვთ. მათი აზრით, დანიელი მსაჯი მათ შეგნებულად ჩაგრავს. „ანდერლეხტის“ პრეზიდენტმა როჯერ ვანდენ სტოკმა მაგალითები საკმაოდ ჩამოთვალა. ორი წლის წინ, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში, „ანდერლეხტს“ „ბაიერნთან“ ფრეც ჰქონდა, მაგრამ მილტონ ნილსენმა გერმანელთა სასარგებლოდ საეჭვო პენალტი დანიშნა და „ბაიერნმა“ 1:0 მოიგო. ერით წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ესპანეთთან მილტონ ნილსენმა ბელგიის ნაკრების ორი ფეხბურთელი გააძევა და „წითლებმა“ 0:2 წააგეს.

„გაოგნებული ვარ მომხდარის გამო — დაიჩივლა იესტროვიჩმა — რადგან ცუდი არაფერი ჩამიდენია. სისოკო თვითონაა პროვოკატორი ჯერ იდაყვი მკრა, მერე კი ფრანგულად ღორის შვილი მიწოდა. მე კი მხოლოდ შევაგინე და „შავი“ არ მიხსენებია, სულ ეს იყო. სისოკომ ლივერპულში პირველი მატჩის დროსაც მეძახა იგივე, მაგრამ მაშინ პასუხი არ გამიცია, ამჯერად თავი ვეღარ შევიკავე. რასისტული არაფერი მითქვამს. მილტონ ნილსენმა ჩემი სიტყვა ვიოგო, სისოკოსი — ვერა, რადგან მან ინგლისური იცის, ფრანგული — არა. თუმც დანიელი მსაჯისგან წითელი ბარათი არ გამკვირვებია, მან ხომ აქამდე ჯერ „ანდერლეხტი“, მერე კი ბელგიის ნაკრები გაამწარა. ნამატჩევს მასთან სამსაჯოში შეეედი, რათა გამერკვია, თუ რატომ გამაძევა. ბოდიშის მოსახდელად არ შევსულვარ. საბოდიშო არაფერი მქონდა“.

ვაჟა ხუციშვილი

სანჩესმა ევროპა დაგვგმა

სახელგანთქმული უგო სანჩესი მექსიკის ერთ-ერთი ტიტულოვანი კლუბის, უნამის „პუმების“ დამრიგებლობას დაემშვიდობა. მან „ლოს პუმასს“ შარშანდელ სეზონში ორი საპატიო ჯილდო მოაგებინა, თუმც წლეულს პუმება ვერაფრით ვამოიჩინეს თავი და გუნდის ხელმძღვანელობამაც ახალი მწვრთნელის მოძებნა გადაწყვიტა.

„სანჩესს უდიდეს პატივს ვცემთ, მისი თავკაცობით ორჯერ ჩემპიონებიც გავხდით, თუმც ახლა გუნდმა ხელიზედ რამდენიმე საწყენი წაგება გადაობა და სეგუნდადივზიონში გავარდნის საფრთხეც გვემუქრება“ — განაცხადა არტურო ელიას „იუბმა, „პუმების“ პრეზიდენტმა.

„ოთხი წელი ამ გუნდის დამრიგებელი ვიყავი. 2004-ის კამპანია ყველაზე მომგებიანი გახლდათ — მექსიკური კლაუსურას და აპერიტუსას ჩემპიონები გავხდით და „სანტიაგო ბერნაბეუს“ თასზეც მადრიდის „რეალი“ დავმარხეთ. ჩემი გადადგომა „პუმების“ პრეზიდენტთან შევათანხმე, არავითარი კონფლიქტი არ ყოფილა. უბრალოდ, ვფიქრობ, გუნდისთვის და ჩემთვის საუკეთესო გამოსავალი ახლა ესაა. მექსიკაში უგო სანჩესის სამწვრთნელო კარიერა დასრულდა. დამრიგებლად მხოლოდ რომელიმე ევროპულ გრანდში მიხილავთ“ — ამბობს თავად დიდი მობურთალი. ისე, სანჩესს მადრიდის „რეალის“ თავკაცობის სურვილი ადრეც გამოუთქვამს...

ლადო ხომერიკი

ტანკი ბეტისში იჯირითებს



„ბარსელონას“ არგენტინელ ფორვარდ მაქსი ლოპესის შეძენით სევილიური „ბეტისის“ თავკაცები დაინტერესდნენ. პატაგონიელი მოიერიშე ამ სეზონში „ბარსას“ სათადარიგოთა სკამზე ყურყუტებს და, მედიის ცნობით, მოთმინება დაკარგული მალე ახალ გუნდს გამოძებნის. „რივერ პლეიტის“ ექსფორვარდის სავარაუდო სარბიელი კი ალბათ ლორენს სერა ფერერის „ბეტისი“ იქნება.

„მაქსიმილიანო შესანიშნავი ფეხბურთელია და ჩვენი გუნდის თამაშეს დასხმაში თავის საქმეს ჩინებულად მიხედავს“ — განაცხადა სევილიელთა მწვრთნელმა კატალონიურ „სპორტთან“ ინტერვიუში.

როგორც ხსენებული გაზეთი აცხადებს, არგენტინაში „ტანკად“ წოდებული მაქსი ლოპესი „ბეტისის“ „რუის დე ლოპერას“ არენაზე დეკემბერში იჯარით გადავა. სევილიელებს ახლა უმთავრესი მოიერიშე, ბრაზილიელი რიკარდო ოლივეირა ლაზარეთში ჰყავთ და მძლავრი მაქსის შემატება იქაურებს მაღალმოსავით მოუხდებათ. საინტერესოა, რომ „ტანკმა“ 2005-06-ის ესპანურ ლიგაში მხოლოდ 12 წუთი ითამაშა და ისიც „ბეტისის“ წინააღმდეგ ბარსელონელებმა. მეტოქეს მაშინ 4:1 მოუგეს.

ლადო ხომერიკი

ვალენსია მცველს ბირმინგემში ეძებს

ინგლისური მედიის ცნობით, იქაური „ბირმინგემის“ უკანახაზელი მეთიუ აპსონი მალე შეიძლება ესპანურ „ვალენსიაში“ მოხვდეს. „ღამურების“ აგენტები აპსონის ბურთაობას ყურადღებით აკვირდებენ თვალყურს. მეთიუს თავის კლუბთან კონტრაქტი ჯერჯერობით არ გაუახლებია, რაც ვალენსიელებს საჭირო მცველის ხელში ჩაგდების მეტ შანსებს აძლევს“ — ეწერა გუშინდელ „სანში“.

თავად ფეხბურთელი სამხრეთელთა დაინტერესებას არც ადასტურებს და არც უარყოფს.

„ვალენსიელები რამდენჯერმე დამიკავშირდნენ, თუმცა კიკე ფლორესის გუნდთან რაიმე სერიოზულ გარიგებაზე ჯერ ლაპარაკი ზედმეტია. ჯერჯერობით „ბირმინგემის“ მოთამაშედ ვრჩები, ხოლო საბოლოოდ რა მოხდება ვერ გეტყვით“ — აღნიშნა მეთიუ ასპონმა.

ლადო ხომერიკი

საკვირაო წირვის მოლოდინში

საქმე ასეა: „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ბოლო 11 წლის მანძილზე შესაძლოა პირველად ვერ დაძლიოს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი, რაც მისი ყალიბის გუნდისთვის, ბუნებრივია, შემაშფოთებელია. ამიტომაც, ვითარების გამოსასწორებლად ძალიან მნიშვნელოვანია... კვირას „ჩელსის“ დამარცხება. თუ ალექს ფერგიუსონის მოთამაშეები ამას შეძლებენ, გულშემატკივართა მომძლავრებულ უკმაყოფილებას ცოტა დააცხრობენ.

ჩემპიონთა ლიგის D ჯგუფში კი საქმე ასეა ოთხშაბათს, საფრანგეთში, „ლილთან“ 0:1 წაგებამ მანკუნიანელები მესამე ადგილამდე დაამცირა, მაშინ, როდესაც წინ მხოლოდ ორი ტურია დარჩენილი.

ახლა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ კვირას „ოლდ ტრეფორდზე“ „იუნაიტედმა“ „ჩელსისთან“ წააგოს... დაგვეთანხმებით, ეს ყოველ მხრივ გაურთულებს საქმეს გუნდს, რომელსაც ოთხშაბათს საფრანგეთში, საკუთარმა გულშემატკივარმა უკვე უსტვინა.

„ცხადია გულშემატკივარს ჩვენი მოგების ნახვა სჭირდება, — განაცხადა მანჩესტერელთა მწვრთნელმა 1986 წლიდან, ალექს ფერგიუსონმა, — ფაქტია, ჩვენ კარგ ფორმაში არ ვართ, მაგრამ ეს ვიცით და ამიტომ დარჩენილი გზის ბრძოლით გავლას ვაპირებთ“.

ზემოთ ვახსენეთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს“ 1994-95 წლების სეზონის შემდეგ არ ჰქონია ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გასვლის პრობლემა და იმისათვის, რომ მაშინდელი ფიასკო ახლაც არ განუმეორდეს, ბევრი გოლის გატანის თვისება უნდა აღიდგინოს.

„ცხრილს „ვილიარეალი“ ლიდერობს და მასთან საშინაო თამაში ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. ჩვენ წლების მანძილზე ვანადგურებდით შინ მოწინააღმდეგეებს და იმედი მაქვს, რომ ახლაც ივივე განმეორდება“ — დასძინა ფერგიუსონმა.

ესპანელებთან თამაშის დიდ მნიშვნელობაზე ისაუბრა „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელმა, გუნდის მიერ ჩემპიონთა ლიგაში გატანილი ორად ორი გოლიდან ერთ-ერთის ავტორმა ჰოლანდიელმა რუუდ ვან ნისტელროიმ:

„ძალიან მძიმე პერიოდს გავდივართ, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი მჯინც ჩვენს ხელთაა. ჩემპიონთა ლიგაში კი გადამწყვეტი ვფირქრობ სწორედ „ვილიარეალთან“ შეხვედრა იქნება“.

პაპუნა კედია

არგენტინელი ნახევარმცველი მარტინ დემიკელისი თავის გუნდს, მიუნხენის „ბაიერნს“ მოელაპარაკა და 2010 წლამდე კონტრაქტის განვრცობაზე დაყაბულდა

მიუნხენში ხელი შეიკრა



მარტინ დემიკელისი

შეგახსენებთ, რომ მარტინ დემიკელისი 24 წლისაა და „ბაიერნში“ 2003 წელს ბუენოს აირესის „რივერ პლეიტიდან“ გადავიდა, მაგრამ საინტერესოა, რომ მაშინ გერმანელებმა იგი იყიდეს, როგორც მცველი. შემდეგ, გასული სეზონის მსვლელობისას, „ბაიერნის“ ხელმძღვანელებს მისი მოედნის შუაში გადაყვანის იდეა მოუვიდათ და ასეც მოიმოქმედეს. ექსპერიმენტმა გაამართლა. მას მერე, დემიკელისი გახდა მიუნხენის გუნდის ძირითადი შემადგენლობის ერთ-ერთი მთავარი წევრი და მეტიც, ნახევარმცველად ქცეულმა არგენტინის ნაკრებისკენაც კი გაიკვლია გზა.

დემიკელისთან დაკავშირებით, „ბაიერნის“ მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა განაცხადა: „მარტინი ბოლო პერიოდში ჩვენი გუნდის ერთ-ერთ მთავარ ძალად ჩამოყალიბდა“.

არგენტინელი მოთამაშის მაღალ მიუნხენურ რეიტინგზე ისიც მეტყველებს, რომ „ბაიერნმა“ მასთან 2010 წლამდე კონტრაქტის გახანგრძლივება ჯერჯერობით მოქმედი ხელშეკრულების გასვლამდე 18 თვით ადრე მოიწადინა, რაც მნიშვნელოვანი ამბავია. საგულისხმოა, რომ „ბაიერნი“ ამჟამად მილაპარაკებებს აწარმოებს კიდევ ათ ფეხბურთელთან, ოღონდ ეს ფეხბურთელები დემიკელისისგან იმით განსხვავდებიან, რომ მათ კონტრაქტებს ვადა ახლა მაისში ეწურება.

აღსანიშნავია, რომ კაპიტან მიხაელ ბალაკს „ბაიერნის“ შეფებმა დრო ნოემბრის შუამდე მისცეს. ან, ჩვენს ვარიანტს დაყაბულდი და კონტრაქტი გაახანგრძლივე, ანაც შენთვის ახალი გუნდი მოვძებნოთო.

პაპუნა კედია

ჩეხთა პაველიანი პლეი ოფი

ჩეხი ვარსკვლავი პაველი ნედვედი ნაკრებში ითამაშებს! ჩეხთა ეროვნული გუნდის მწვრთნელის კარელ ბრუკნერის განცხადებით, „იუვენტუსის“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე თექვსმეტთვიანი განშორების შემდეგ ნაკრებს დაუბრუნდება და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ პლეი ოფში ნორვეგიის წინააღმდეგ გამოვა

პაველ ნედვედი ნაკრებში ბრუნდება

მოგეხსენებათ, ევროპის 2004 წლის ჩემპიონატში ჰოლანდიასთან ნახევარფინალური მარცხის შემდეგ, ნედვედმა ნაკრები დატოვა და განაცხადა, რომ მხოლოდ საკლუბო ფეხბურთში მიიღებდა მონაწილეობას, თუმცა მისი დაბრუნების თემამ გასული თექვსმეტი თვის განმავლობაში რამდენჯერმე წამოჰყო თავი და საკუთრივ ფეხბურთელის კომენტარებიც სულ უფრო და უფრო რბილი ხდებოდა.

და აი, საბოლოოდ ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც ჩეხ გულშემატკივარს სურდა. კარელ ბრუკნერმა ნორვეგიასთან შინ და სტუმრად თამაშებისთვის გამოძახებული 23 მოთამაშის სია რომ გამოაქვეყნა, მათ შორის პაველ ნედვედის გვარ-სახელიც ეწერა. აღსანიშნავია ავრეთვე, რომ ბრუკნერის სიაში წერია „მონაკოს“ ნახევარმცველის, იაროსლავ პლასილის გვარ-სახელიც. პლასილი ბოლო პერიოდში დაშავებული გახლდათ.

ჩეხთა და ნორვეგიელთა პირველი დაპირისპირება 12 ნოემბერს ოსლოში გაიმართება, ხოლო მეორე 16 ნოემბერს პრაღაში.

პაპუნა კედია

ცუდი ბიჭი გამოიძახეს



ნიკოლა ანელკა

ჰეი, საოცრებავ! საფრანგეთის ნაკრებს 9 და 12 ნოემბერს ორი ამხანაგური თამაში ელის კოსტა რიკისა და გერმანიის ნაკრებებთან და ამ ორ თამაშში მონაწილეობისთვის ლურჯთა თავკაცმა რაიმონ დომენეკმა მივიწყებული „ცუდი ბიჭი“ ნიკოლა ანელკა გამოიძახა.

რატომაა ეს ყველაფერი საოცრება? იმიტომ, რომ საკუთრივ ანელკას ჰქონდა ნათქვამი, დომენეკი სულ რომ ვეხვეწო, ნაკრებში არ გამომიძახებსო, მაგრამ აი, გამოაქვეყნა მწვრთნელმა 23 კაციანი შემადგენლობა და შიგ ანელკაც წერია.

„ფენერბაჰჩეს“ თავდამსხმელს საფრანგეთის ნაკრებში 2002 წლის ნოემბრის შემდეგ არ უთამაშია. მაშინ ფრანგთა თავკაცმი ჟაკ სანტინი გახლდათ, ხოლო ლურჯები იუგოსლავიას ხვდებოდნენ.

და მაინც, გავიხსენოთ აპრილის ციტატა: „სანამ დომენეკი თანამდებობაზეა, არა მგონია ლურჯებში ვითამაშო. მაშინაც კი, როდესაც ათეულობით ბიჭი დაშავებულია, დომენეკი მე არ მიძახებს“.

26 წლის ფორვარდს, რომელსაც ნათამაშევი აქვს „პარი სენ ჟერმენში“, „არსენალში“, „რეალში“, „მანჩესტერ სიტისა“ და „ფენერბაჰჩეში“, საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში 28 მატჩი ჩაუტარებია და 6 გოლიც შეუგდია მეტოქეთათვის.

შეგახსენებთ, რომ ანელკამ 2002 წელს სანტინის შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამოც დაიფრინეს კიდეც ნაკრებიდან. მოგვიანებით მან მწვრთნელს ბოდიში მოუხადა, მაგრამ ვაგლახ, სანტინიმ არ აპატია და ევროპის 2004 წლის პირველობამ მის გარეშე ჩაიარა. ვერცხლისწყალივით თავდამსხმელმა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატიც გამოსტოვა. მაშინ „ლრჯებს“ როიე ლემერი ედგათ სათავეში.

პირველი სანაკრებო მატჩი ნიკოლა ანელკამ ემე ჟაკეს ხელმძღვანელობით 1998 წელს შვედეთთან ჩაატარა, თუმცა არც იმ წლის მუნდიალში მიუღია მონაწილეობა.

რაიმონ დომენეკის 23 კაციან სიაში არ არის საზარდულნატკენი ზინედინ ზიდანი, ფურთხებისთვის ექვსი თვით დასჯილი ფაბიენ ბარტეზი კი ნაკრებს უბრუნდება.

პაპუნა კედია

საფრანგეთი

მეკარეები: ფაბიენ ბარტეზი (მარსელი), გრეგორი კუპე (ლიონი), მიკაელ ლანდრო (ნანტი)

მცველები: ერიკ აბიდალი (ლიონი), ჟან ალენ ბუმსონგი (ნიუკასლი), უილიამ გალასი (ჩელსი), გაელ გივე (მონაკო), ფრანკ ჟურიეტი (ბორდო), ანტონი რევეილერი (ლიონი), ვილი სანიოლი (ბაიერნი), ლილიან ტურამი (იუვენტუსი)

ნახევარმცველები: ალუ დიარა (ლანსი), ვიკაშ დორასო (პსჟ), კლოდ მაკელელე (ჩელსი), ფლორენ მალუდა (ლიონი), ჟერომ როტენი (პსჟ), პატრიკ ვიეირა (იუვენტუსი)

თავდამსხმელები: ნიკოლა ანელკა (ფერენბაჰჩე), ჯიბრილ სისე (ლივერპული), ტიერი ანრი (არსენალი), სიდნეი გოვუ (ლიონი), დავიდ ტრეზეგე (იუვენტუსი), სილვიენ ვილტორდი (ლიონი)

ჩეხეთი

მეკარეები: იარომი ბლაჟეკი (სპარტა), პეტრ ჩეხი (ჩელსი), ანტონინ კინსკი (სატურნი)

მცველები: ზდენეკ გრიგერა (აიაქსი), მარეკ იანკულოვსკი (მილანი), მარტინ ჟირანეკი, რადოსლავ კოვაჩი (ორივე სპარტაკი), პაველ მარეში (ზენიტი), დავიდ როზენალი (პსჟ), ტომაშ უიფალუში (ფიორენტინა)

ნახევარმცველები: ტომაშ გალაშეკი (აიაქსი), დავიდ იაროლიმი (ჰამბურგი), ჟირი იაროშიკი (ბირმინგემი), პაველ ნედვედი (იუვენტუსი), იაროსლავ პლასილი (მონაკო), კარელ პობორსკი (ბუდეიეცე), იან პოლაკი (ნიურნბერგი), ტომაშ როსიცკი (დორტმუნდი), ვლადიმერ შმიცერი (ბორდო)

თავდამსხმელები: მილან ბაროში (ასტონ ვილა), მარეკ ჰაინეი (გალათასარაი), ტომაშ იუნი (ტრაბზონი), ჟირი შტაინერი (ჰანოვერი)

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი IV ტური

ტრეზეგული ორი გოლი

A ჯგუფი

იუვენტუსი 2:1 ბაიერნი

1:0 ტრეზეგე (62), 1:1 დაისლერი (66), 2:1 ტრეზეგე (85)

იუვენტუსი: აბიატი, ტურამი, კანავარო, კოვაჩი (კამორანეზი 58; მუტუ 76), კიელინი, ვიეირა, ემერსონი, ძამბროტა, დელ პიერო (ნედვედი 46), ტრეზეგე, იბრაჰიმოვიჩი

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

ბაიერნი: კანი, სანიოლი, ისმაელი, რუსიო, შვაინშტაიგერი, დაისლერი, დემიკელისი (შოლი 87), ზე რობერტო, ბალაკი, პიზარო, მაკაი (გერერო 88)

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: კოვაჩი, შვაინშტაიგერი, იბრაჰიმოვიჩი, ზე რობერტო, კამორანეზი, ვიეირა, იბრაჰიმოვიჩი

გაძევება: იბრაჰიმოვიჩი (90)

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

16 076 მაყურებელი



AFP ტურინიდან

დავიდ ტრეზეგე (წინ) ტურინული მატჩის გმირად იქცა

მიუნხენის „ბაიერნი“ ბევრს ელოდა, მაგრამ „დელ-ალპიზე“ მარცხი მაინც ვერ აიცილა და ჯგუფში პირველი ადგილი ისევ „იუვენტუსს“ დაუთმო. ტურინელები ბრწყინავდნენ და აუცილებლად უნდა მოგებოდნენ, ნამდვილად ვერ ვიტყვით. თუმც „ბებერ ქალბატონს“ მონდომებას ვერ დავუკარგავთ, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. მატჩის გმირი კი უდავოდ ფრანგი ფორვარდი დავიდ ტრეზეგე გახდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა საკმაოდ ჩაკეტილი გამოდგა. გუნდები გახსნილ ფეხბურთს მხოლოდ ალაგ-ალაგ თუ თამაშობდნენ. „იუვენტუსის“ ძირითადი შემადგენლობა საგრძნობლად გადახალისებული გახლდათ. ფაბიო კაპელომ სამი ნიშნიანური ფორვარდით დაიწყო. ალექს დელ პიერო პაველ ნედვედის ნაცვლად თავდამსხმელების უკან იყო გამწესებული. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ამან არ გაამართლა, ტურინელთა კაპიტანმა ძირითადი მატჩი ჩააგდო.

უფრო ცოცხლად მასპინძლებმა დაიწყეს. ყველაზე გამორჩეული დავიდ ტრეზეგე იყო. ძან სამჯერ დაარტყა მეტოქის კარში და აქედან ერთი აშკარა საგოლე მომენტი გახლდათ, მაგრამ ფრანგმა ფეხის წვერით მოქნევა ვერ შეძლო. საინტერესოა, რომ ტრეზეგემ კინაღამ საკუთარ კარშიც გაიტანა, მაგრამ მის თავურს კრისტიან აბიატი გადაეღობა. იქამდე კი როი მაკაის მიეცა ბრწყინვალე შანსი, თუმც კვლავ უნიათოდ მოთამაშე ჰოლანდიელმა ცოტათი ააცილა.

აქტიურობდა პატრიკ ვიეირაც, მაგრამ ზოგჯერ ზედმეტად და ხშირად ჯარიმდებოდა. საერთოდ მასპინძლები ბევრ არასაჭირო ჯარიმას „იკიდებდნენ“. არადა, ფაბიო კაპელომ მატჩის წინ აღნიშნა — „ბაიერნი“ სტანდარტული სიტუაციების შესრულებით ევროპაში საუკეთესოა და სიფრთხილე გვმართებს.

მეორე ტაიმში მინდორზე დელ პიეროს ნაცვლად პაველ ნედვედი გამოჩნდა და ტურინელებიც მყისვე გახალისდნენ. ჩეხის აქტიურობით მათ რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს. ერთ-ერთი მათგანი 62-ე წუთზე გოლით დასრულდა — სანიოლმა ნედვედი კი შეაჩერა, მაგრამ იქვე მყოფ ტრეზეგეს ველარავინ დაასწრო და ფრანგმა ეფექტური დარტყმით ოლივერ კანი სტატისტად აქცია.

მიუნხენელები, რომლებიც იქამდე თავს მშვენივრად იცავდნენ და ქულაზე ფიქრობდნენ, ცოტათი დაფაცურდნენ. თუმც ფრთაშესხმული „იუვენტუსი“ თავს მშვენივრად გრძნობდა, სანამ... ფაბიო კაპელოს შიში გამართლდა. 66-ე წუთზე სებასტიან დაისლერმა საკმაოდ შორიდან საჯარიმო დარტყმა მძლავრად შეასრულა, ბურთს ორი ბაიერნელი ჩაუხტა, მაგრამ ვერ შეეხო. სამაგიეროდ, კრისტიან აბიატი დაიბნა, ხოლო როცა გადახტომა მოისაზრა, უკვე გვიანი იყო.

„იუვენტუსი“ ამ მოულოდნელმა გოლმა ცოტა არ იყოს, დააბნია და ტურინელებმა უთავბოლოდ დაიწყეს მეტოქეზე დაწოლა, თუმც ბოლო წუთებში მათი უპირატესობა უკვე გამოიკვეთა და მიზნის მიღწევაც შეძლეს. მატჩის დასრულებამდე 6 წუთით ადრე პატრიკ ვიეირამ ერთი მცველი ჩამოიშორა და მოკლე, მოჭრილი პასით ჩინებულად მოძებნა ტრეზეგე. ფრანგმა ბურთი მკერდზე მიიღო და მყისვე მცველის ფეხიდან შორეულ დაბალ კუთხეში დაურტყა კანს. გოლი მართლაც ლამაზი გამოდგა და ფაქტობრივად გადამწყვეტიც.

დარჩენილ დროში საინტერესო ფეხბურთელებს შორის ბოლო წამებზე ატეხილი ჯაჯგური და ზლატან იბრაჰიმოვიჩის გაძევება გახლდათ. შვედს ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტია, მაგრამ აქტიურობას ცდილობდა, როცა არაფერი გამოსდიოდა, ტრადიციულად ტლინკობდა და ორი ყვითელი ბარათიც „დაიმსახურა“.

ფაბიო კაპელო: „ძალიან მძიმე მატჩი იყო და მოხარული ვარ, რომ მოგება შევძელით. „ბაიერნმა“ ჩემი მოლოდინი კვლავ გაამართლა, მიუნხენელებს სერიოზული გუნდი ჰყავთ. ტრეზეგე კი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია. თუ საქმე მეტოქის საჯარიმოში ბრძოლას ეხება, მას ბადალი არ ჰყავს“.

„ტურინში თამაში ყოველთვის ძნელია. ჩვენ გახსნილი ფეხბურთის ჩვენება გვინდოდა და მგონი, შევძელიც კიდეც. ცუდად ნამდვილად არ ვირჯებოდით. უბრალოდ, ტურინელებს სამი ქულა გაცილებით მეტად სჭირდებოდათ, იღბალიც დაეხმარათ და მათ მოგება დაიმსახურეს, გული მწყდება, რომ ისევ ვერ გაიტანა როი მაკაიმ, არადა. ისეთი შანსი მეორედ რომ მისცემოდა, თვალდახუჭულიც შეაგდებდა. ნავსის გასატეხად მას მხოლოდ ერთი ბურთი სჭირდება. ყველაფერი მოგვარდება“ — განაცხადა „ბაიერნის“ თავკაცმა ფელიქს მაგათმა.

ბრიუგე 3:2 რაპიდი

0:1 კინსლი (1), 1:1 პორტილიო (9), 2:1 ბალაბანი (25), 3:1 ვერჰეიენი (63), 3:2 ჰოფმანი (81)

ბრიუგე: ბუტინა, მარტენსი, ვანაუდენაერდე, სპილარი, ბლონდელი, ვერჰეიენი, ვერმანტი, კლემენტი, ლეკო (როელანდტსი 86), ბალაბანი (ენგლებერდი 83), პორტილიო (ოლივეირა 90)

მწვრთნელი: იან კულემანსი

რაპიდი: ჰედლი, ჰიდენი, დობერი (გარში 83), ბეიბლი, ადამკო, კორსოში, ჰოფმანი, ბლინკა, დოლინგერი (მარტინსი 70), კინსლი, ლოური (აკაგუნდაკი 70)

მწვრთნელი: იოზეფ ჰიკერსბერგერი

გაფრთხილება: ვერმანტი, დოლინგერი, დობერი, ბლონდელი, კინსლი

მსაჯი: ალონ იეფეტი (ისრაელი)

27 514 მაყურებელი

A ჯგუფის მეორე მატჩი სასახალბრივად მშვენიერი საცქერი გამოდგა. გოლებიც მრავლად იყო, რაშიც გუნდებს წვიმიანი ამინდიც დაეხმარათ.

„რაპიდს“ გამარჯვების გარდა სხვა გზა არ ჰქონდა და ავსტრიელებმაც თითქმის მთელი მატჩი შეტევებში გალიეს, მაგრამ არ გაუმართლათ. არადა, მათთვის ყველაფერი კარგად დაიწყო — უკვე 33-ე წამზე კინსლმა თავური დარტყმით გაუტანა ბუტინას.

გავიდა რვა წუთი და სტუმარია მეკარემ რაიმუნდ კეიდლმა ხელი ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა, რითაც ხავიერ პოსტილიომ ისარგებლა. მიუხედავად ამისა, უპირატესობას კვლავ „რაპიდი“ ფლობდა, მაგრამ 23-ე წუთზე ისევ „ბრიუგემ“ გაიტანა — ბოშკო ბალაბანმა მშვენივრად შეასრულა ჯარიმა. ექვნელების მესამე და გარდამტეხი გოლი მასპინძელთა კაპიტანმა გერდ ვერჰეიენმა შეუგდო. შეხვედრას საბოლოო წერტილი კი ჰოფმანმა ზუსტი თავურით დაუსვა.

ამ გამარჯვებით „ბრიუგე“ ლიდერებს საგრძნობლად მიუახლოვდა და ჯგუფიდან გასვლისთვის თამამად შეუძლია ბრძოლა, რადგანაც მესამე ადგილი უკვე გარანტირებული აქვს.

ჯოკი ჯანდელაკი

იუვენტუსი	4	3	0	1	8:4	9
ბაიერნი	4	3	0	1	5:3	9
ბრიუგე	4	2	0	2	5:5	6
რაპიდი	4	0	0	4	2:8	0

ერთსაათიანი ანრი

B ჯგუფი

არსენალი 3:0 სპარტა

1:0 ანრი (23), 2:0, 3:0 ვან პერსი (81, 86)

არსენალი: ალმუნია, ტურე, ლორენი, კემპბელი, კლიში, ჟილბერტო, ფლამინი, პირესი (ფაბრეგასი 73), რეიესი (ებუ 83), ბერხკამპი, ანრი (ვან პერსი 65)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

სპარტა: ბლაჟეკი, ლუკაში, პერგლი, პეტრუსი (ჟესლინკი 80), კადლეცი, პოსკეში, პეტრასი, ჟელენკა, ჰაშეკი, პოლაჩეკი (სლეპიჩკა 58), მატუსოვიჩი

მწვრთნელი: სტანისლავ გრიგა

გაფრთხილება: პეტრასი

მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

35 155 მაყურებელი





AFP ლონდონიდან

რობინ ვან პერსიმ და თიერი ანრიმ „არსენალი“ მერვეფინალში გაიყვანეს

„არსენალმა“ მერვეფინალი გაისაღდა და თებერვლამდე ჩემპიონთა ლიგა დიდად აღარ ადარდებს.

„ახლა პრემიერლიგას უნდა მიეხედოთ — თქვა ვენგერმა — უპირველესად სტაბილურობა გვმართებს, რათა ცხრილში მაღლა ავიწიოთ, მერე კი ჩემპიონთა ლიგის მერვეფინალი გველის, სადაც პირველი მატჩი უმნიშვნელოვანესია. თებერვლამდე საკმაო დროა და სათანადოდ მომზადებას მოვასწრებთ. რაც შეეხება ანრის, ბრწყინვალე გოლი გაიტანა. ტრავმის მოშუშების შემდეგ სულ ვცდილობთ, რომ ერთ საათზე მეტხანს არ ვითამაშო. როცა შევცვალე, ეწყინა, მაგრამ ჯობს დავასვენო. მისი შემცველი რობინ ვან პერსი საუცხოოდ გაისარჯა. დუბლი ხუთ წუთში დიდებული შედეგია“.

ტიერი ანრი: „სპარტას“ ორისამი კარგი მომენტი ჰქონდა 1:0-ზე და გაგვიმართლა, რომ ვერ გამოიყენეს, რის გამოც ვან პერსიმ ბოლოს დასაჯა. პირველ ტაიმში უკეთესად ვითამაშეთ, ვიდრე მეორეში. ჯგუფიდან გასვლა აქამდე ყოველთვის გვიჭირდა, ამჯერად კი მეოთხე ტურშივე მივაღწიეთ მიზანს“.

„სპარტას“ მწვრთნელი სტანისლავ გრიგა: „შესვენებამდე ძალიან გაგვიჭირდა, რადგან მეტოქეს ვერა და ვერ წავართვით ბურთი, უბურთოთ კი თამაში შეუძლებელია. მეორე ტაიმში ორი ნაღდი მომენტის გამოყენება გვმართებდა“.

თუნი 2:4 აიაქსი

0:1 სნეიდერი (27), 1:1 ლუსტრინელი (56), 1:2 ანასტასიუ (62), 2:2 ადრიანო (74), 2:3 დე იონგი (90), 2:4 ბუხარი (90)

თუნი: იაკუპოვიჩი, გონსალვეში, დეუმი, მილიჩევიჩი (ადრიანო 42), ორმანი (გერბერი 67), ლეანდრო (სენი 81), ბერნარდი, ჰოზიჩი, აეგერტერი, ფერეირა, ლუსტრინელი

მწვრთნელი: ურს შიონბერგერი

აიაქსი: სტეკელენბურგი, გრიგერა, ჰეიტინგა, მადურო, ემანუელსონი, დე იონგი, გალაშეკი, სნეიდერი (ბუხარი 89), პიენაარი, ანასტასიუ, ბაბელი

მწვრთნელი: დენი ბლინდი

გაფრთხილება: ანასტასიუ, გონსალეში, გალაშეკი, მილიჩევიჩი, ფერეირა

მსაჯი: ვლადიმირ ხრინაკი (სლოვაკეთი)

31 430 მაყურებელი

„აიაქსმა“ „თუნის“ ხარჯზე გაიმდიდრა ქულათა მარაგი — ჭეიცარიელებს საპასუხო მატჩშიც მოუგო და ჯგუფიდან გასვლის შანსი გაიუმჯობესა. ბერძენმა ფორვარდმა ანასტასიუმ ამსტერდამში ორი, ბერნში კი ერთი გოლი გაუტანა „თუნს“.

„აიაქსი“ ორჯერ დაწინაურდა, მაგრამ მასპინძლებმა ორჯერვე შეძლეს გაქვითვა. შეხვედრის მიწურულს სტუმრებმა მაინც შეძლეს გარდამტეხი გოლის გატანა და ცოტა ხანში უკან მოუხედავად შეტევაში გაქცეული თუნელებს მეოთხეც შეუგდეს.

„ვერ ვიტყვი, რომ ძალიან კარგად ვითამაშეთ, თუმც მთავარია სამი ქულა — თქვა აიაქსელთა მწვრთნელმა დენი ბლინდმა — ოთხი გაცემული გოლის მიუხედავად, შეტევაში სათანადოდ ვერ გავისარჯეთ. გუნდს თავდაჯერებულობა აკლდა, მაგრამ მოგებამ ხასიათი გამოგვიკეთა“.

„ეს ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი იყო ამ სეზონში — განაცხადა „თუნის“ თავკაცმა ურს შიონენბერგერმა — კვლავ წამები დაგვაკლდა იმისთვის, რომ სასურველი შედეგისთვის მიგვეღწია“.

ვაჟა ხუციშვილი

არსენალი	4	4	0	0	9:2	12
აიაქსი	4	2	1	1	8:5	7
თუნი	4	1	0	3	4:8	3
სპარტა	4	0	1	3	1:7	1

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი IV ტერი

ბერძნულ-რომაული ტრაგედია

AFP ბარსელონიდან

ბარსელონა — პანათინაიკოსი 5:0. რონალდინიო ბევრს ეცადა, მაგრამ მინდორი მაინც უგოლოდ დატოვა

C ჯგუფი

ბარსელონა 5:0 პანათინაიკოსი

1:0 ვან ბომელი (1), 2:0 ეტოო (14), 3:0 მესი (34), 4:0, 5:0 ეტოო (40, 65)

ბარსელონა: ვალდესი, ოლეგერი, ედმილსონი, პუიოლი, ვან ბრონკჰორსტი, მესი, ვან ბომელი (გაბრი 61), ხავი (ესკერო 71), ინიესტა (მოტა 51), რონალდინიო, ეტოო

მწვრთნელი: ფრანკ რაიკაარდი

პანათინაიკოსი: გალინოვიჩი, ბისკანი (კოციოსი 46), ვინტრა, მორისი, დარლასი (ციოლისი 61), ნილსონი, კონსეისაო, გონსალესი, ლენტიუ, სერიჩი (ვუტერი 79), პაპადოპულოსი

მწვრთნელი: ალბერტო მალესანი

გაფრთხილება: მორისი

მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია)

75 000 მაყურებელი

ფრანკ რაიკაარდის „ბარსელონამ" „კამპ ნოუზე" ელინურ „პანათინაიკოსს" გამანადგურებელი ანგარიშით მიოუგო.

ოთხშაბათ საღამოს ბერძენთა რბევა თამაშის პირველი წუთიდანვე დაიწყო — დამხვდურთა ჰოლანდიელმა ვან ბომელმა „პანათინაიკოსის" მეკარეს ლამაზად გადაუგდო თავზე ბურთი და ანგარიში გახსნა. მერე სამუელ ეტოომ და ლეო მესიმაც ივაჟკაცეს. კამერუნელმა ჰეთ თრიქით იხეირა, ხოლო არგენტინელმა „ოქროს ბიჭუნამ" დიდებული გოლი შეაგდო 34-ე წუთზე.

მასპინძლებს სწრაფი გოლის იმედი ჰქონდათ და გაუმართლათ კიდეც. ანდრეს ინიესტამ ბურთი მოედნის ცენტრში მოიგო და ვან ბომელს გადააწოდა. ელინთა გოლკიპერი ცოტა წინ იყო გამოსული და ჰოლანდიელს გატანა არ გასჭირვებია. იმ დღეს „ბარსა" ისე მძლავრად ბურთაობდა, რომ აშკარად ჩანდა, ალბერტო მალესანის შეგირდები მომდევნო გოლებს ვერაფრით აკლებოდნენ.

მეთოთხმეტე წუთზე მშვენივრად მოთამაშე ინიესტამ ეტოოს ჩააწოდა და აფრიკელმაც თავურით ცხრიანში შეაგდო. ლიონელ მესიმ კი სტუმარი მცველები გააბრიყვა 34-ე წუთზე, და მერე როგორ...

ბერძნებს გატანა ცოტა ხნის მერე შეეძლოთ, თუმც ფლავრო კონსეისაოს დარტყმა ვიქტორ ვალდესმა მოიგერია.

შესვენებამდე ხუთი წუთით ადრე მესი-რონალდინიო-ეტოოს კომბინაცია ამ უკანასკნელის უძლიერესი დარტყმით და 4:0-ით დასრულდა.

არგენტინელი „სუპერბიჭუნა" კი ესპანელმა ჟურნალისტებმა მატჩის გმირებად ანდრეს ინიესტასთან ერთად დაასახელეს.

მეხუთე გოლის შემოქმედიც პატაგონიელია. 64-ე წუთზე ლეომ ეტოოს იღბლიანად უპასა და კამერუნელმაც წამხდარ გალინოვიჩს კიდევ ერთხელ გამოატანინა ბურთი კარიდან. „კამპ ნოუს" ჯახის მიწურულს „პანათინაიკოსის" მეკარემ ახლა რონალდინიოს ეშხიანი საჯარიმო დარტყმა უკუაგდო. საბოლოოდ 5:0 და „ბარსას" მერვეფინალის საგზური უკვე ჯიბეში უდევს.

ვერდერი 4:3 უდინეზე

1:0 კლოზე (15), 2:0 ბაუმანი (24), 3:0 მიკუ (51), 3:1, 3:2 დი ნატალე (54, 57), 3:3 შულცი (60ს.კ.), 4:3 მიკუ (67)

ვერდერი: რანიკე, ოვომოიელა (ფარენჰორსტი 68), ანდრეასენი, ნალდო, შულცი, ბაუმანი (ვრანიეში 86), ბოროვსკი, მიკუ, ფრინგსი, ვალდესი (ჰანტი 80), კლოზე

მწვრთნელი: თომას შაფი

უდინეზე: დე სანქტისი, სენსინი, ფელიპე, ბერტოტო, დ. ძენონი (მაური 50), პინეი, ობოდო, მუნტარი (დი ნატალე 30), კანდელა, დი მიკელე (მოტა 73), იაკინტა

მწვრთნელი: სერსე კოზმი

გაფრთხილება: დ. ძენონი, პინეი, ფრინგსი, ჰანტი, მოტა, პინეი

გაძევება: პინეი (71)

მსაჯი: იური ბასკაკოვი (რუსეთი)

35 211 მაყურებელი

„ვესერშტადიონზე" გამართულ მძიმე ჯახში ადგილობრივმა მუსიკოსებმა 4:3 გაიმარჯვეს და გათამაშების შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსიც შეინარჩუნეს.

2 ნოემბრის შეხვედრა გერმანელების მწვრთნელის, თომას შაფისთვის საიბილეო გახლდათ. ალბანი სპეციალისტი „ვერდერის" სარდლის რანგში რიგით ორმოცდამეთერთმეტე საფეხურნირო მატჩს ატარებდა.

მასპინძლები უდინელებს თავიდანვე მიაწყდნენ — ჯერ პარაგვაელ ნელსონ ვალდესს შეეძლო გატანა, მერე კი ტომ ბოროვსკიმ გაისროლა შორეული პოზიციიდან ოდნავ არაზუსტად. „ბრემენის" საჯარიმოზე არეულობით ისარგებლა და ლამაზი გოლი შეაგდო სერსე კოზმის ბიჭები პირველ ტაიმში ფეტევებით არ გამოირჩეოდნენ. ტესიკოსებმა კი მიკუს დარტყმის ტერე ანგარიშის გაზრდის რეალური შანსი დაკარგეს — ფრანგმა ფ. სანკტისის კარის ძელი „დაიცვა".

მთავარი დრამა მეორე ტაიმში შემდეგ დაიწყო. შეცვლაზე შეხვედლმა დი ნატალემ სასწაულს გამოჰკრა ხელი და გერმანელთა გოლკიპერ რანიკეს სულმოუთქმელად გაუტანა გოლები. 54-ე წუთზე დი ნატალემ „ვერდერის" კარის მცველს დაბალი დარტყმით შეუგზავნა. ხოლო ორი წუთის მერე ბაიერნთან პირისპირ გასულმა ეროვნულ-რდმა „ვესერშტადიონის" გასაჯიბულ ქომაგებს 3:2 ააფარა ცისარწყინ. საყაიმო გოლიც ანდერსენ-დი ნატალემ გაახერხა — მისი კასროლა „მუსიკოსების" უკანასკნელმა შულცმა აირეკლა და მეექვსე წუთზე საკუთა კარში გაიტანა.

მეხდაცემულ გერმანელების ანგელ ფრანგმა მიკუმ უშველა. ტოტალურ ფრინგსის ზუსტი პასის შემდეგ გალმა ნახევარმცველმა ჯოკერიულ მატჩს საბოლოოდ დაუსვა წერტილი. „ვერდერი" ახლა C ჯგუფში მეორე ადგილზეა, ალბანელი კი წაგებული „უდინეზე" კი ჯერ ბალიზიციით უკან რჩება.

ლადო ხომერიკი

ბარსელონა	4	3	1	0	11:1	10
ვერდერი	4	1	1	2	6:8	4
უდინეზე	4	1	1	2	8:9	4
პანათინაიკოსი	4	1	1	2	2:9	4

ფეხბურთი იდაყვებით

C ჯგუფი

ლილი 1:0 მანჩესტერი

1:0 აჩიმოვიჩი (38)

ლილი: სილვა, ტავლარიდისი, შალმე, შიტტი, ტაფორუ, დებიუში, მაკუნი, ბოდმერი, დერნისი (გიგაქი 79), მუსილუ (ოდემვეი 84), აჩიმოვიჩი (ჩაბაი 77)

მწვრთნელი: კლოდ პუელი

მანჩესტერი: ვან დერ სარი, ფერდინანდი, ოში, ბრაუნი, სილვესტრი, რონალდო (როსი 89), ფლეტჩერი, სმიტი, რიჩარდსონი (პარკი 65), რუნი, ვან ნისტელროი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: მაკუნი, ტავლარიდისი, ტაფორუ, სილვესტრი, რუნი

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

66 470 მაყურებელი

„მანჩესტერ იუნაიტედი" ორმოშია და ველარ ამოდის. პრემიერლიგაში „მიდლსბროსთან" 1:4 მარცხის შემდეგ ფერგიუსონს „ლილთან" მოგების ეიმედებოდა, მაგრამ ამაოდ. უცნაურია, რომ შეტევის მოყვარულმა გუნდმა, რომელსაც ვან ნისტელროი და რუნი ჰყავს, ჩემპიონთა ლიგის ოთხ მატჩში ორ გოლზე მეტი ვერ გაიტანა. „ლილმა" კი პირველი გაიტანა, პირველი თამაში მოიგო და მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

„ძალიან ცუდი მოედანი იყო. ჩემს ფეხბურთელებს ბურთის გაგორება უჭირდათ — დაინივლა ალექს ფერგიუსონმა — საწყენია, რომ წავაგეთ. წაგებული მატჩი თავდაჯერებულობას ვერ შეგმატებს: მეტოქე ფიზიკურად ძლიერი იყო, თან იდაყვებსაც კარგად იყენებდნენ, მაგრამ ეს ისედაც ვიცოდით. აშკარაა, საუკეთესო ფორმაში არ ვართ, თუმცა მსგავსი „ჩავარდნა" გუნდს ადრეც ჰქონია, ახლა დროა, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელებმა თავისი შესაძლებლობა აჩვენონ და ბოლომდე დაიხარჯონ. მომდევნო მატჩში შინ „ვილიარეალს" დავამარცხებთ, რადგან „ოლდ ტრაფორდზე" ნებისმიერი მეტოქის ძლევა შეგვიძლია. „ლილთან" წავაგეთ, მაგრამ თავის მართლებას არ ვაპირებთ, თუმც ფრე უფრო სამართლიანი შედეგი იქნებოდა. გარი ნევილის, რიიან გიგზის, გაბრიელ ჰეინცესა და როი კინის გამოცდილება ძალიან გვაკლია. ახალგაზრდა, მათ შემცველ ფეხბურთელებს კი ჯერ კიდევ ბევრი აქვთ სასწავლი".

ნამატჩევს ლილელმა სტატის ტავლარიდისმა და მანჩესტერელმა რუდ ვან ნისტელროიმ ერთმანეთზე გაიწიეს. ჰოლანდიელ ფორვარდი ბერძენი მცველის მალულმა უხეშობამ გაამწარა, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში გრძელდებოდა.

მასპინძელთა მწვრთნელი კლოდ პუელი: „დაცვითი ტაქტიკა ფერგიუსონმა დაიწუნა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ვამარჯვება დავიმსახურეთ. ნელ-ნელა გამოცდილებას ვიძენთ. მე პირველად ვარ ჩემპიონთა ლიგაში და ვხედავ, რომ გუნდი აშკარად სტაბილურად, კარგად თამაშობს. ახლა ორი ურთულესი მატჩი გველის. მაგრამ რაკი „მანჩესტერ იუნაიტედი" დავამარცხეთ, გამოდის, რომ შანსი სხვებთანაც გვქონა".

ბენფიკა 0:1 ვილიარეალი

0:1 სენა (82)

ბენფიკა: ნერუ, ლუიზაო, ნილსონი, ანდერსონი (ასიზი 84), ლეო, ფერნანდესი, კარაგუნისი (მანტორასი 70), ჯოვანი (პერეირა 70), პეტიტი, სიმაო, ნუნუ გომეში

მწვრთნელი: რონალდ კუმანი

ვილიარეალი: ბარბოსა, ხავი ვენტა, ალვარესი, როდრიგესი, არუაბარენა, სენა (პენია 90), ხოსიკო, რიკელმე, სორინი, ხოსე მარი (გიარე 71), ფორლანი (ფიგუეროა 52)

მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი

გაფრთხილება: ხავი ვენტა, გონსალო, ნუნუ გომეში, სორინი

მსაჯი: ფრანკ დე ბლეკერე (ბელგია)

42 000 მაყურებელი

„ვილიარეალმა" სამი ფრის შემდეგ პირველი მატჩი მოიგო და პირველ ადგილზე აღზევდა, „ბენფიკას" ორი მთავარი მეკარე დაშავებული ჰყავდა, ყმაწვილკაცი, რეი ნერეუ კი 82-ე წუთზე შეცდა, 30 მეტრიდან დარტყმულ ბერთს ხელები უშნოდ დაუხვედრა და — 0:1.

„ვილიარეალის" მწვრთნელი მანუელ პელეგრინი: „ორი დღით ადრე ვოქვი, ლისაბონში სამი ქულისთვის მივდივართ-მეთქი და ასეც მოხდა. გამარჯვება დავიმსახურეთ, რადგან უფრო მეტი საგოლე მომენტი გვქონდა და ერთი გამოიყენეთ, პირველ ადგილზე გადავედით, მაგრამ მრეველფინალისტები ალბათ ბოლო ტურში გაირკვევა".

„ბენფიკას" თავკაც რონალდ კუმანის აზრით, მისი გუნდი მარცხს არ იმსახურებდა: „პირველ ტაიმში სტუმრები უკეთ თამაშობდნენ, მათი ნახევარმცველები ოლად გაღმოდიოდნენ ჩვენს ნახევარზე და შეტევის საშუალებას არ გვაძლევდნენ. მეორე ტაიმში „ბენფიკამ" აშკარად ავლობა „ვილიარეალს". მეტოქე სისწრაფეში დავჩაგრეთ, მეტი მომენტიც გვქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ გავიტანეთ ფრე უფრო ლოგიკური იქნებოდა, რადგან ორივე გუნდის გულიანად იბრძოლა. მომდევნო მატჩი „ლილთან" გვაქვს, სადაც ალბათ ბევრი ქომაგი გამოგვყვება და ეს მახარებს. ჯგუფიდან გასვლის შანსი არ დაგვიკარგავს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ადგილზე ვართ".

AFP ლილიდან

ლილი — მანჩესტერი 1:0. რიო ფერდინანდმა (№5) და მისმა თანაგუნდელებმა ტყუილად იჭაჭყურეს

ვაჟა ხუციშვილი

ვილიარეალი	4	1	3	0	2:1	6
ლილი	4	1	2	1	1:1	5
მანჩესტერი	4	1	2	1	2:2	5
ბენფიკა	4	1	1	2	3:4	4

სარგებელი ჯიპ კროკი

წარმოგიდგენთ

ინგლისი. პრემიერლიგა

5 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16:45	2	ასტონ ვილა-ლივერპული	2.90	3.20	2.30	1.52	1.28	1.33
19:00	3	არსენალი-ხანდერსფილდი	1.25	4.90	10.00	1.00	1.11	3.28
19:00	4	ბლეკბერნი-ნარლეტონი	2.40	3.10	2.85	1.35	1.30	1.48
19:00	5	ფულჰემი-სიტი	2.45	3.10	2.80	1.36	1.30	1.47
19:00	6	ნიუკასლი-ბირმინგემი	1.60	3.50	5.50	1.09	1.23	2.13
19:00	7	ვესტ ჰემი-ვესტ ბრომიჩი	1.80	3.20	4.50	1.15	1.28	1.87
21:15	8	პორტსმუთი-უოტფორდი	2.40	3.20	2.75	1.37	1.28	1.47

6 ნოემბერი

18:00	9	ევერტონი-მიდლსბრო	2.45	3.20	2.70	1.38	1.28	1.46
20:00	10	მანჩესტერი-ჩელსი	2.90	3.10	2.35	1.49	1.29	1.33

7 ნოემბერი

23:45	11	ბოლტონი-ტოტენჰემი	2.40	3.10	2.80	1.35	1.29	1.47

ინგლისი. ჩემპიონატი

5 ნოემბერი

19:00	24	კრისტალ პალასი-შეფილდი	2.45	3.20	2.70	1.38	1.28	1.46
19:00	25	ჰალი-ფოტფორდი	2.40	3.10	2.80	1.35	1.29	1.47
19:00	26	იფსვიჩი-ლესტერი	1.85	3.30	3.70	1.18	1.23	1.74
19:00	27	ლიდსი-პრესტონი	1.80	3.20	4.20	1.15	1.25	1.81
19:00	28	ლესტერი-საუთჰემპტონი	2.40	3.20	2.55	1.37	1.23	1.41
19:00	29	ლუტონი-ბარნლი	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
19:00	30	მიდლზბოროუ-ქრიუ	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
19:00	31	ჭბრ-რედინგი	2.55	3.20	2.45	1.41	1.24	1.38
19:00	32	უენსდეი-დერბი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
19:00	33	სტოკი-ბრაიტონი	2.05	3.20	3.10	1.24	1.23	1.57
19:00	34	ვულვერჰემპტონი-ნორვიჩი	1.90	3.20	3.70	1.19	1.25	1.71

6 ნოემბერი

19:00	35	კარლაიფი-ქოვენთრი	1.80	3.30	4.10	1.16	1.25	1.82

შოტლანდია. პრემიერლიგა

5 ნოემბერი

19:00	37	პარტიზანი-ლანდი იუნაიტედი	1.30	4.20	8.00	1.00	1.11	2.75
19:00	39	ინვერნესი-დანფერმლაინი	1.80	3.30	3.90	1.16	1.23	1.78
19:00	40	ლივინგსტონი-პიბერნიანი	5.00	3.40	1.60	2.02	1.21	1.08
19:00	41	მოთერუელი-კილმარნოკი	2.15	3.20	2.90	1.28	1.23	1.52
19:00	42	რეინჯერსი-აბერდინი	1.35	4.10	7.50	1.01	1.14	2.65

6 ნოემბერი

18:00	44	ფოლკირკი-სელტიკი	8.50	5.00	1.25	3.14	1.08	1.00

შოტლანდია. I დივიზიონი

5 ნოემბერი

19:00	46	ქუინი-ჯლაიდი	2.90	3.20	2.10	1.52	1.21	1.26
19:00	47	სტენჰაუსმური-ერლრი	1.75	3.40	4.00	1.15	1.21	1.83
19:00	48	სტრანრაერი-რაისი	2.70	3.40	2.20	1.50	1.21	1.33

შოტლანდია. II დივიზიონი

5 ნოემბერი

19:00	49	ალაა-სტირლინგი	2.50	3.30	2.35	1.42	1.21	1.37
19:00	50	ეარი-ვრეგნა	5.50	4.30	1.40	2.41	1.11	1.05
19:00	51	მორტონი-ლანბარტონი	1.65	3.50	4.30	1.12	1.19	1.92
19:00	52	პიტერჰედი-ფორფარი	2.30	3.40	2.55	1.37	1.20	1.45
19:00	53	რეითი-პარტიკი	2.70	3.40	2.20	1.50	1.21	1.33

შოტლანდია. III დივიზიონი

5 ნოემბერი

19:00	54	ალბიონი-ჭუინს პარკი	2.80	3.30	2.15	1.51	1.21	1.30
19:00	55	არბროუთი-მონტროზი	2.30	3.30	2.65	1.35	1.23	1.46
19:00	56	კოლუმბუთი-ოსტ ფაიფი	1.75	3.60	3.50	1.17	1.16	1.77
19:00	57	ოსტ ხტირლინგი-სტენჰაუსმური	6.30	4.60	1.35	2.65	1.11	1.04
19:00	58	ფალკირკი-ბერვიკი	6.30	4.40	1.35	2.59	1.11	1.03

გერმანია. I ბუნდესლიგა

5 ნოემბერი

18:30	59	ბაიერნი-ვერდერი	1.75	3.40	4.50	1.15	1.25	1.93
18:30	60	აინტრახტი-არმინია	2.00	3.20	3.50	1.23	1.27	1.67
18:30	61	ჰანოვერი-მაინცი	1.85	3.30	4.00	1.18	1.26	1.80
18:30	62	ჰერტა-კაისერსლაუტერნი	1.50	3.80	5.80	1.07	1.19	2.29
18:30	63	ლევერკუზენი-დორტმუნდი	2.10	3.10	3.40	1.25	1.29	1.62
18:30	64	შალკე-ფოლფსბურგი	1.35	4.30	7.80	1.02	1.15	2.77
18:30	65	შალკე-ფოლფსბურგი 0:1	1.75	3.90	3.30			
18:30	66	ვოლფსბურგი-კიოლნი	1.65	3.50	4.80	1.12	1.22	2.02

6 ნოემბერი

20:30	67	მონხენგლადბახი-ჰამბურგი	2.50	3.20	2.60	1.40	1.27	1.43
20:30	68	ნიურნბერგი-შტუტგარტი	3.00	3.20	2.20	1.54	1.26	1.30

გერმანია. II ბუნდესლიგა

4 ნოემბერი

22:00	71	ბერგპაუხენი-მიუნხენი 1860	3.00	3.20	2.10	1.54	1.23	1.26
22:00	72	კოტბუსი-აალენი	1.55	3.60	5.00	1.08	1.18	2.09
22:00	73	კარლსრუე-ლინამო	1.60	3.40	5.00	1.08	1.21	2.02

6 ნოემბერი

18:00	74	აუე-ოფენბახი	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
18:00	75	პადერბორნი-ფრაიბურგი	2.10	3.30	2.90	1.28	1.21	1.54
18:00	76	საარბრიუკენი-ჰანსა	2.80	3.20	2.20	1.49	1.23	1.30
18:00	77	სიგენი-ბოხუმი	3.30	3.20	2.00	1.62	1.24	1.23
18:00	78	ენტერპანინეი-ფიურტი	2.70	3.20	2.30	1.46	1.24	1.33

7 ნოემბერი

